



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'N. K. Shikhiyev', is written over a horizontal line.

ნოე ქაშიბაძე

10 მარტი 2014 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში №2/129

2013 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	5
ფორმა N1 - ბალანსი 2013.....	8
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013.....	9
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2013.....	10
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2013.....	11
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2013	12
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები	12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული ქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური

ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1 და ფორმა N5, კერძოდ:

ექსპლუატაციაში გაცემული მარაგები

აუდიტის პერიოდში ექსპლუატაციაში გაცემულია 1, 008.65 ლარის ღირებულების მარაგები პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების (გასავლის ზედდებულები ან ჩამოწერის ან შესრულებული სამუშაოს აქტები ან სხვა) გაფორმების გარეშე, რომლებიც ასახავდნენ სამეურნეო მოვლენის მოხდენის ფაქტს¹. ეს მარაგები წარმოადგენს შპს „საკანცელარიო სამყაროსგან“ შეძენილ საკანცელარიო საქონელს.

კომპიუტერული ტექნიკის ხარჯები

2013 წელს კომპიუტერული ტექნიკის ხარჯებმა შეადგინა 3,633.58 ლარი. წარმოდგენილი განცხადებების, ანგარიშფაქტურების, სასაქონლო ზედნადებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად გაწეულია ხარჯები კომპიუტერის ნაწილების შეძენასა და შეკეთებაზე, თუმცა არც განცხადებებში არც მიღება-ჩაბარების აქტებში არაა წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა კონკრეტულად რა სახის სამუშაოები ჩატარდა და რომელ კომპიუტერს ჩაუტარდა რემონტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტიურად ვერ დასტურდება კომპიუტერული ტექნიკის ხარჯების მიზანშეწონილობა და სისრულე.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2013 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრისათვის.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

რისკები

სამინისტროს არ შეუმუშავებია ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა; კერძოდ, არ განუხორციელებია რისკების განსაზღვრა და შეფასებები; არ განუსაზღვრავს რისკების მნიშვნელობა, ალბათობა და საპასუხო კონკრეტული კონტროლის მექანიზმების დოკუმენტურად ასახვა².

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

მინისტრის ბრძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2013 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 10 მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია სულ 48,164 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 2 პირი აყვანილია მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. კერძოდ, მათზე დაკისრებული იყო: საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა (თვეში 500 ლარის ანაზღაურებით), სამინისტროს სამეურნეო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების მოგვარება (თვეში 600 ლარის ანაზღაურებით). მათზე ანაზღაურებულია სულ 13,200 ლარი; ხოლო დანარჩენი პირები შედარებით ნაკლები ვადებით იყვნენ დანიშნული შტატგარეშე მოსამსახურეებად და დაკისრებული ჰქონდათ ისეთი მოვალეობები, რომელიც სამინისტროს დებულებით განსაზღვრული შტატით მომუშავეთა ფუნქციებს შეესაბამებოდა, კერძოდ: სამართალშემოქმედების უზრუნველყოფა (18.02.2013-01.01.2014 - ანაზღაურება თვეში 500 ლარი); შიდა აუდიტში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შესრულება (15.11.2013-16.02.2014 - ანაზღაურება თვეში 600 ლარი); სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის სპეციალისტად (02.12.12-29.12.2012- ანაზღაურება თვეში 600 ლარი). ამ მხრივ ჩატარებული შემოწმებითა და ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით გაირკვა, რომ არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა შტატგარეშედ აღნიშნული მოსამსახურეების სამსახურში აყვანა და მათზე ანაზღაურების სახით თანხების გადახდა.³

ავტომანქანის საწვავის ხარჯები

სამინისტროს სარგებლობაში იყო 3 ავტომანქანა. მათ შორის: ერთი პერსონალური სარგებლობისათვის (რომელიც ემსახურებოდა მინისტრს) და ორი სამსახურებრივი სარგებლობისათვის. მოცემული ავტომანქანებიდან ორი ირიცხებოდა ფინანსთა

² „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-13 მუხლის მოთხოვნები.

³ „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნები.

სამინისტროს ბალანსზე, ერთი კი - მინისტრის მოადგილის (ხ. გადელიას) კერძო საკუთრებაში არსებული ავტომანქანა - Mercedes-Benz ML 370, უსასყიდლოდ, სამსახურებრივი სარგებლობის უფლებით მინისტრის ბრძანებისა და თხოვნების ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი იქნა 2013 წლის დასაწყისში.

სამსახურებრივი მიმოსვლისათვის აყვანილი კერძო საკუთრებაში არსებული (ხ.გადელიას) ავტომანქანისათვის ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა საწვავის ლიმიტი თვეში 200 ლიტრი. ამასთან, 2013 წელს ერთ შემთხვევაში მინისტრის მოადგილის ხ.გადელიას ქ.ზუგდიდში მივლინებასთან დაკავშირებით, მინისტრის ბრძანებით დამატებით გამოიყო 100 ლიტრი (171 ლარის ღირებულების) საწვავი. მოცემულ შემთხვევაში მივლინებასთან დაკავშირებით მივლინების ხარჯების გაწევისას, არ მომხდარა მგზავრობის ხარჯების მინიმალური ტარიფებით ანაზღაურება, რითაც სრულად არ იქნა დაცული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.⁴

9 თვის განმავლობაში დაწესებული ლიმიტის ფარგლებში, ზემოაღნიშნული ავტომანქანაზე (Mercedes-Benz ML 370) გახარჯულია სულ 3,403.96 ლარის ღირებულების 1,981 ლიტრი საწვავი. სამინისტროში ვერ იქნა წარმოდგენილი მყარი არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გადაუდებელი აუცილებლობით იყო გამოწვეული ესოდენ მძლავრი ძრავის მქონე და საწვავის კუთხით ხარჯიანი ავტომანქანის თხოვნების ხელშეკრულებით სარგებლობაში აყვანა.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2013 წელს წარმომადგენლობითი ხარჯების საკასო ხარჯი შეადგენს 970.43 ლარს. წარმოდგენილია შპს გუდვილის ანგარიშ-ფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები, რომელთა თანახმად შეძენილია სასურსათო პროდუქტები, თუმცა იმის ამსახველი დოკუმენტები თუ რა მიზნით და რა საჭიროებისათვის იქნა გაწეული მოცემული ხარჯები, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არ არის.

არაფინანსური აქტივები

სამინისტროში არაფინანსური აქტივების ანლიზური აღრიცხვისათვის 2012 წელს შეძენილ არაფინანსური აქტივებზე არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები თითოეული საინვენტარო ნომრისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით. ასევე ასეთ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნით არ გაფორმებულა შესაბამისი ხელშეკრულებები სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე⁵;

⁴ „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 20.05.2005 წ. N231 ბრძანებულების მე-12 და მე-20 პუნქტების მოთხოვნები.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N1 - ბალანსი 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	ნაშთი წ/დ	ნაშთ წ/ზ
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში			
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში			
ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის			
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2		
მოთხოვნები მივლინებით			
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები			878
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით			
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები			719,197.38
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		33,159.54	31,272.30
სხვა ძირითადი აქტივები		10,980	9,016
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები			
სხვა მატერიალური მარაგები			
არაწარმოებული აქტივები			
სულ არაფინანსური აქტივები			
ბალანსი		44,139.54	760,363.68
ვალდებულებები და კაპიტალი			
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	3		
გადასახდელი დღგ			
ვალდებულებები მივლინებით			
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით			
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები			
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		44,139.54	760,363.68
გაუნაწილებელი მოგება			
სულ კაპიტალი			
ბალანსი		44,139.54	760,363.68
საცნობარო მუხლები			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში			
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		118,559.17	124,595.17
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		39,461.83	48,875.66

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	შენიშვნა	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრ ივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება		538,970	572,320	570,706.25	570,706.25	570,706.25		
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		488,280	484,300	483,891.25	483,891.25	483,891.25		
1.1.1.3 პრემია		47,690	86,215	86,215	86,215	86,215		
1.1.1.4 დანამატი		3,000	600	600	600	600		
1.2 საქონელი და მომსახურება	5	153,230	149,085	123,580.72	123,580.72	123,580.72		
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		44,760	47,275	47,255	47,255	47,255		
1.2.2 მივლინებები		2,000	2,000	228	228	228		
1.2.3 ოფისის ხარჯები		75,470	68,410	49,794.41	49,794.41	49,794.41		
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები		1,000	1,000	970.43	970.43	970.43		
1.2.6 სამედიცინო ხარჯები								
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები								
1.2.8. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები		28,600	28,600	23,776.13	23,776.13	23,776.13		
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		200	600	594	594	594		
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება							17,537.91	17,537.91
1.6 გრანტები								
1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს								
1.7 სოციალური უზრუნველყოფა			15,000	15,000	15,000	15,000		
1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოცდხმარება								
1.8 სხვა ხარჯები								
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები								
1. სულ ხარჯები								

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(570,706.25)
საქონელი და მომსახურება	(123,580.72)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(17,537.91)
<i>მ.შ. ფიზიკური ცვეთა</i>	
სოციალური უზრუნველყოფა	15,000
 აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა	
<i>მ.შ. არაფინანსური აქტივები</i>	
<i>მატერიალური მარაგების</i>	
<i>არაწარმოებული აქტივების</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები</i>	
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	
სულ სადებეტო ბრუნვა	(726,824.88)
სულ ჯამი	726,824.88
 ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011	44,139.54
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	714,831.02
შემოსავლები	
<i>მ.შ. გრანტები</i>	
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	727,340
<i>მ. შ. არაფინანსური აქტივები</i>	727,340
<i>არაწარმოებული აქტივები</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>მ.შ. მოგება ფლობიდან</i>	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
სულ საკრედიტო ბრუნვა	1,442,171.02
სულ ჯამი	1,486,310.56

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშვნა	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შეყიდვით	გრანტებით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	დანაკლისის აღდგენით	საკუთარი სახსრებით	გაყიდვით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	გრანტები	სხვა ხარჯები	საქონელი და მომსახურება	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
მატერიალური მარაგები														
სტრატეგიული მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები														
ძირითადი აქტივები		44,139.54	5,544.05		726,462	878							17,537.91	759,485.68
შენობა-ნაგებობები														
არასაცხოვრებელი შენობები					726,462								7,264.62	719,197.38
მანქანა დანადგარები და ინვენტარი		33,159.54	5,544.05			878							8,309.29	31,272.30
სატრანსპორტო საშუალებები		22,365.44											3,243.52	
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		10,794.10	5,544.05			878							5,065.77	
სხვა ძირითადი აქტივები														
არამატერიალური ძირითადი აქტივები		10,980											1,964	9,016
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები														
სულ ძირითადი აქტივები														
ძირითადი აქტივები														

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	ანალიზური აღრიცხვის მონაცემები													
მაჩვენებელთა დასახელება	პირველი კვარტლის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შემენა	სხვა სახით	ექსპლუატა	რ-ბა								
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რ-ბა	რ-ბა	რაოდენობა	რ-ბა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
1	სატრანსპორტო საშუალებები სულ:	2												
	მ.შ. მსუბუქი მანქანები	2					23,776	1,784	17,629	4,363	23,776	1,784	17,629	4,363
	ჯიპები და პიკაპები													
	სატვირთო													
2	მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	183		8										
	მობილური ტელეფონები	5												
	ტელევიზორები	5		2										
	კომპიუტერები	36		1										

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო (სამინისტრო) საქმიანობას წარმართავდა აფხაზეთის ა.რ. მთავრობის 2007 წლის 28 მარტის N18 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

სამინისტრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი დაწესებულებაა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-11 მუხლის თანახმად ხელმძღვანელობს მის სტრუქტურულ ერთეულებს და კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო ფინანსურ პოლიტიკას ავტონომიურ რესპუბლიკაში და ექვემდებარება, როგორც აფხაზეთის მთავრობას, ასევე საქართველოს შესაბამის სამინისტროს.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის კანონით მიენიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი (1005).

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებია:

- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- იურიდიულ საკითხთა, საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;
- საბიუჯეტო დეპარტამენტი:
 - ა) კონსოლიდირებული ბიუჯეტის განყოფილება;
- ფინანსური პოლიტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი:
 - ა) საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება;
- ხაზინა:
 - ა) ბიუჯეტის ხარჯებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება;
 - ბ) საგადახდო მოთხოვნებისა და ვალდებულებების შემოწმების განყოფილება;
- შიდა აუდიტის სამსახური.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით სამინისტროსათვის განსაზღვრული მომუშავეთა 42 შტატი სრულად იყო დაკომპლექტებული. შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტობრივმა საერთო რიცხოვნებამ კი 10 ერთეული შეადგინა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- ა) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ბ) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- დ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. მოთხოვნები

სამინისტროში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოთხოვნები არ ირიცხებოდა.

4. ვალდებულებები

სამინისტროში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებები არ ირიცხებოდა.

5. საქონელი და მომსახურება

- ა) ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, რომელიც ეხებოდა შტატგარეშე მუშაკებს, გაირკვა, რომ:

ვლადიმერ თოლორდავას ევალებოდა მონაწილეობის მიღება სამინისტროს აპარატში სამართალშემოქმედების საქმეში. ფაქტობრივად ის ახდენდა სამინისტროში სტაჟირებისა და პრაქტიკების გავლის მსურველთა რეგისტრაციას და მათთან დაკავშირებული ყველა საოგანიზაციო საკითხის მოგვარებას. ეს საქმიანობები, სამინისტროსა და ვლადიმერ თოლორდავას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული. ასევე საგულისხმოა, რომ სამინისტროს დებულებით ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენდა იურიდიულ საკითხთა, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს კომპეტენციას, რომელშიც დასაქმებული იყო 3 მუშაკი. მიუხედავად ამისა, 2013 წელს ვლადიმერ თოლორდავაზე ანაზღაურებულია სულ 5,250 ლარი.

მანანა აქუბარდია აყვანილი იქნა შტატგარეშე მოსამსახურედ 3 თვის ვადით, შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი სპეციალისტის უხელფასო შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პერიოდში მას კონკრეტულად განხორციელებულ აუდიტში მონაწილეობა არ მიუღია, შემოიფარგლებოდა მხოლოდ საკონსულტაციო საქმიანობით; ფაქტობრივად მანანა აქუბარდიას ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები არ შეუსრულებია. მიუხედავად ამისა, სამინისტროს მიერ გახარჯულია და ანაზღაურებულია მ. აქუბარდიაზე 1,800 ლარი.

ირაკლი ყოლბაია აყვანილი იქნა შტატგარეშე მოსამსახურედ 2013 წლის 3 დეკემბრიდან სამართლებრივი უზრუნველყოფის სპეციალისტად, სამინისტროს წარმომადგენელ პირად სასამართლოში. აღნიშნული პერიოდისათვის სასამართლო პროცესები არ ყოფილა, შესაბამისად რაიმე დოკუმენტი მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ სამინისტროში არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე 2013 წელს ანაზღაურებულია 600 ლარი.

ივანე ვეკუა აყვანილი იქნა შტატგარეშე მოსამსახურედ 2013 წლის 1 იანვრიდან და დაევალა სამინისტროს სამეურნეო, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების მოგვარება. ის ფაქტობრივად ახდენდა სამინისტროსათვის საკანცელარიო ნივთების შეძენას და გადანაწილებას. აღნიშნული საქმიანობა შედიოდა ადმინისტრაციული დეპარტამენტის კომპეტენციაში, რომელშიც დასაქმებული იყო 5 მუშაკი. მიუხედავად ამისა, 2013 წელს ივანე ვეკუაზე ანაზღაურებულია სულ 7,200 ლარი.

ჯულიეტა ჩხორთოლია აყვანილი იქნა შტატგარეშე მოსამსახურედ 2013 წლის 1 იანვრიდან და დაევალა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების, მინისტრთან მიღებებისა და შეხვედრების ორგანიზების საკითხების მოგვარება. ფაქტობრივად ასრულებდა მდივნის ფუნქციებს. აღნიშნული საქმიანობა შედიოდა ადმინისტრაციული დეპარტამენტის კომპეტენციაში, რომელშიც დასაქმებული იყო 5 მუშაკი. მიუხედავად ამისა, 2013 წელს ჯულიეტა ჩხორთოლიაზე ანაზღაურებულია სულ 6,000 ლარი.

ბ) ფინანსთა სამინისტროს სარგებლობაში არსებული ავტომატქანებზე საწვავის ლიმიტები და გაწეული ხარჯები შეადგენდა:

დასახელება	ყოველთვიური ლიმიტი (ლიტრი)	წლიური ლიმიტი (ლიტრი)	ხარჯი ლიმიტის ფარგლებში		მივლინებასთან დაკავშირებით ლიმიტს ზევით ხარჯი	
			ლიტრი	ლარი	ლიტრი	ლარი
პერსონალური საგებლობის	400	4,800	4,679.66	8,614.21		
სამსახურებრივი სარგებლობის	300	3,600	3,024.98	5,610.96		
თხოვების ხელშეკრულებით აყვანილი	200	2,400	1881.17	3,232.14	100	171.82
ჯამი	900	10,800	9,585.81	17457.31	100	171.81

6. სხვა განმარტებები

ა) სამინისტროს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე არ ქონდა განსაზღვრული სამინისტროს წინაშე არსებული რისკის შემცველი სფეროები. ასევე არ ხორციელდებოდა ოპერაციების კონტროლის სისტემების ადეკვატურობის შეფასება; რისკის მართვა არ იყო განხორციელებული ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

ბ) ხელფასები

სამინისტროში რამდენიმე შემთხვევაში ხელფასის დარიცხვა და გაცემა ხდებოდა წინასწარ საანგარიშო (სამუშაო) თვის დასაწყისში. კერძოდ, ხელმძღვანელობის ნებართვით, როგორც გამონაკლისი, 14 შემთხვევაში სამინისტროს მუშაკებზე გაცემულია ხელფასები სულ 18,265 ლარი ერთი თვით ვადაზე ადრე (ავანსად)⁶.

თანამდებობა	სახელი, გვარი	თანამდებობრივი სარგო	შენიშვნა
მინისტრი	ვ. ხორავა	2650	2 შემთხვევაში
მინისტრის მოადგილე	ე. გაბისკირია	1150/1950	4 შემთხვევაში
დეპარტამენტის უფროსი	ლ. ძანძავა	1250	2 შემთხვევაში
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	რ. ხუციშვილი	1150	4 შემთხვევაში
მთ. სპეციალისტი	თ. ნაყოფია	590	ერთ შემთხვევაში
განყოფილების უფროსი	მ. ბერაია	900	ერთ შემთხვევაში

ბ) პრემიები

სამინისტროს მუშაკებზე მინისტრის ბრძანებების საფუძველზე გაცემულია პრემიები მთელი წლის განმავლობაში 65,680 ლარის ოდენობით, კერძოდ:

თანამდებობა	სახელი, გვარი	თანამდებობრივი სარგო	გაცემული თანხა	პრემიის მოცულობა (4/3)
1	2	3	4	5
მინისტრი	თ. კვარაცხელია	2650	5300	2
მინისტრის პირველი მოადგილე	მ. ფარფალია	2100	6300	3
მინისტრის მოადგილე	ე. გაბუნია	1150/1950	3200	2
მინისტრის მოადგილე	ხ. გადელია	1950	4100	2.1
სამმართველოს უფროსი	ჯ. გერგედავა	1150	2900	2.5
სამმართველოს უფროსის მოადგილე	ე. გაბუნია	950	1845	1.9
დეპარტამენტის უფროსი	ლ. ძანძავა	1250	3750	3

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტი; აფხაზეთის ა/რ ფინანსთა სამინისტროს 01.06.2012წ. №01/09 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

მთ. სპეციალისტი	მ. ქობალია	590	1280	2.2
მთ. ბუღალტერი	დ. ესათია	1150	4200	3.7
ბუღალტერი	ა. ნამგალაძე	900	2550	2.8
დეპარტამენტის უფროსი	ი. ცაცუა	1250	2700	2.2
მთ. სპეციალისტი	პ. კეკელია	590	1775	3.0
მთ. სპეციალისტი	ე. გოგშელიძე	590	1575	2.7
დეპარტამენტის უფროსი	რ. წულაია	1250	3200	2.6
ხაზინის უფროსი	რ. ძიმისტარაშვილი	1250	2500	2
მთ. სპეციალისტი	ლ. საჯაია	590	1600	2.7

სამინისტროს სხვა დანარჩენ მუშაკებზე გაცემულია პრემიები თანამდებობრივი სარგოს 1-1.5 მოცულობები.

7. სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ 2013 წელს განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 88 ხელშეკრულება, საიდანაც 85 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შესყიდვა და ერთ შემთხვევაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო ავტომატური საწვავის და ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურების შესყიდვები განხორციელდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით.

2013 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

(ლარი)

შესყიდვების საშუალება	ხელშეკრულების რაოდენობა	გადახდა
გამარტივებული შესყიდვა	85	40,783.10
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	1	3,630.05
კონსოლიდირებული ტენდერი	2	17,438.91
ჯამი	88	61,852.06

აუდიტის პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების წლიური და კორექტირებული გეგმები, ასევე მიმდინარე და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები სააგენტოში წარდგენილია დადგენილი ვადების დაცვით.

აუდიტის ჯგუფი:



გიორგი ფრუიძე

7 მარტი 2014 წელი